საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„კავკაზსკი კალენდარ"

„კავკაზსკი კალენდარ", წელიწდეული, რ-საც გამოსცემდა კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარია 1846–1917. ყოველი მომდევნო წლის კალენდარი დათარიღებული იყო წინა წლით. რედაქტორობდნენ მეფისნაცვლის კანცელარიის პასუხისმგებელი მოხელეები. „კ. კ-ში“ იბეჭდებოდა საერთო კალენდარული მონაცემები, ჩინოვნიკების, სახელმწ. დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მისამართები, მეტეოროლ. და სტატისტ. ცნობები, სტატიები კავკასიისმცოდნეობის საკითხებზე, მთავრობის ზოგიერთი დადგენილება და ა. შ. ამას გარდა, „კ. კ-ში“ გამოქვეყნდა საინტერესო სტატისტ. მასალა ამიერკავკ. ქალაქებსა და მათ მოსახლეობაზე, ქრონოლოგიური ცხრილები, ბიბლიოგრაფიული ცნობარები, - საგზაო ტარიფები, მეტროლოგიური ცხრილები, ნარკვევები ეკონ. საკითხებზე და სხვ.

როგორც ოფიც. გამოცემა, „კ. კ.“ ეწეოდა მეფის მთავრობის ღონისძიებათა პოპულარიზაციას, ამართლებდა ცარიზმის კოლონ. პოლიტიკას.

შ. ხანთაძე